ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4632688

ნომერი: AR1696489

თარიღი : 24.07.2019

გაცემის თარიღი : 15.08.2019

გაცნობის თარიღი : 16.08.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოსკოვის გამზ. N16-ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვაჟა ივანიშვილი პ/ნ 01005021001
- თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 35/37 ბ. 131

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - საამქრო/სტამბა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, მიწის ნაკვეთთან მსვლა ხორციელდება 01.19.34.002.120 ნაკვეთის გავლით. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების თაობაზე მსჯელობა შესაძლებელი იქნება მიწის ნაკვეთის სათანადო მისასვლელით უზრუნველყოფის შემდგომ. საპროექტო მიწის ნაკვეთის მისასვლელი გზით უზრუნველყოფის მიზნით მომიჯნავე მიწის ნაკვეთის გამოყენების შემთხვევაში, დადგენილი უნდა იქნას ერთი უძრავი ქონების მეორე უძრავი ქონების სასარგებლოდ გამოყენებისათვის დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი – უნდა განხორციელდეს გამოსაყენებელი მიწის ნაკვეთის სერვიტუტით დატვირთვა საპროექტო მიწის ნაკვეთის სასარგებლოდ, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.